განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს 2025 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადება და საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 38-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

პამდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. როგორც 2021 წელს, ასევე 2022 წელს ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და ორივე წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია.

2021 წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ თავდაპირველად პროგნოზირებული 4,3%-ის ნაცვლად 10,6%, ხოლო 2022 წლისთვის პროგნოზირებული 6,0%-ის ნაცვლად 11,0% შეადგინა. ორი წლის განმავლობაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შედეგად მაღალი საბაზო მაჩვენებლების მიუხედავად დადებითი ტენდენციები შენარჩუნდა 2023 წელსაც, კერძოდ თავდაპირველად პროგნოზირებული 5,0%-ის ნაცვლად რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 7,5% შეადგინა.

ჯამში 2021-2023 წლებში ეკონომიკის რეალური ზრდის ჯამურმა მაჩვენებელმა 32,0% შეადგინა, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2020 წელთან შედარებით 63%-ით გაიზარდა და 80 მილიარდ 246 მილიონ ლარს გადააჭარბა.

დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციებია 2024 წელსაც, კერძოდ 2023 წლის ბოლოს, მიმდინარე წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განისაზღვრა 5,2%-ის ოდენობით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზი 85 მილიარდ 980 მილიონ ლარს შეადგენდა. წლის პირველ ნახევარში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 9,1% შეადგინა, რისი გათვალისწინებითაც გადაიხედა წლიური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი და ნაცვლად 5,2%-ისა განისაზღვრა 8,2%-ის ოდენობით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზი 89 მილიარდ 608 მილიონ ლარს შეადგენს.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა უმოკლეს ვადებში განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო მთავრობის ვალის მაჩვენებელი, კერძოდ, 2020 წელს პანდემიის შედეგად მშპ-ს 9,3%-მდე გაზრდილი ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი, 2022 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდა კანონით განსაზღვრულ 3%-იან მაჩვენებელს, ხოლო 2023 წლიდან მისი მაჩვენებელი მშპ-ს 2,5%-ის დონეზეა (ნომინალურ გამოხატულებაში დეფიციტი შემცირდება 2 მილიარდ 400 მილიონ ლარზე მეტით). მთავრობის ვალის მოცულობა 2020 წლის 60,2%-იდან 2022 წელს ჩამოვიდა უსაფრთხო, მშპ-ს 40%-იან მაჩვენებელზე დაბლა და მას შემდგომ გრძელდება მისი შემცირების კლებადი დინამიკა.

მსგავსი ფისკალური კონსოლიდაციის მიუხედავად 2021 წელთან შედარებით 2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის მოცულობა გაზრდილია 7 მილიარდ ლარზე მეტით, მათ შორის:

- მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისა და ჯანდაცვის პროგრამებზე მიმართული თანხები 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 2 მილიარდ 600 მილიონ ლარზე მეტით (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 37%) და 2024 წლისთვის ხარჯის მაჩვენებელი 7 მილიარდ 500 მილიონ ლარს აჭარბებს (ხარჯის მოცულობა გაზრდილია 53%-ით, ხოლო ამავე პერიოდში ეკონომიკის ნომინალური მაჩვენებელი გაზრდილია 48%-ით). გაზრდილი დაფინანსების პირობებში შესაძლებელი გახდა პენსიების და სხვა სოციალური გასაცემლების მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ:
    - ✓ 70 წლამდე პენსიონერთა პენსიის მატებამ 75 ლარი, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 90 ლარი შეადგინა;
    - ✓ 70 და მაღალი ასაკის პირთა პენსიის მატებამ 140 ლარი, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 168 ლარი შეადგინა;
    - ✓ დაფინანსდა 60 ათასზე მეტით გაზრდილი ბენეფიციართა რაოდენობა;
    - ✓ 40%-ზე მეტად გაიზარდა ყოფილი ჯარისკაცებისა და პოლიციელების კომპენსაციები, ხოლო კომპენსაციის ზედა ზღვარი 560 ლარიდან გაიზარდა 1000 ლარამდე.
    - ✓ პენსიების ზრდის შესაბამისად გაიზარდა სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური გასაცემლები;
    - ✓ დახმარების მიმღებ 16 წლამდე ბავშვთა სოციალური სარეიტინგო ქულა 100 ათასიდან გაიზარდა 120 ათასამდე, ხოლო უშუალოდ ბავშვის ყოველთვიური დახმარების მოცულობა გაოთხმაგდა და თვეში 200 ლარს შეადგენს;
    - ✓ ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება (კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე) გაზრდილია 600 მილიონ ლარზე მეტით;

- თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით დაფინანსება გაიზარდა 1 მილიარდ ლარამდე (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 14%) და ჯამში 2024 წლისთვის 3 მილიარდ ლარს აღწევს. გაზრდილი დაფინანსებიდან 600 მილიონ ლარამდე მიიმართა ჯარისკაცებისა და პოლიციელების სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, კერძოდ მათი ხელფასების ზრდა ბოლო 3 წლიან პერიოდში განხორციელდა 45%-ით.

- გარდა ჯარისკაცებისა და პოლიციელებისა, 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მთლიანად საჯარო სექტორში

დასაქმებულთათვის დაიწყო ხელფასების მოწესრიგება. ბოლო 3 წლიან პერიოდში საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი 30%-ზე მეტით გაიზარდა, რაზედაც მიიმართა 600 მილიონ ლარამდე (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 8,5%);

- განათლების და მეცნიერების მიმართულებით (საბავშვო ბაღების დაფინანსების ჩათვლით) დაფინანსება გაზრდილია 1 მილიარდ 400 მილიონ ლარზე მეტით (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 20%) და 2024 წელს ამ სფეროს დაფინანსება 3 მილიარდ 300 მილიონ ლარს გადააჭარბებს (ზრდა 65%-ზე მეტით). გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში შესაძლებელი გახდა საჯარო სკოლების მასწავლებელთა საშუალო ხელფასის ზრდა 700-800 ლარის ფარგლებში, ხოლო საბავშვო ბაღების პერსონალის საშუალო ხელფასის 300 ლარით ზრდა.

- გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. 2024 წელს კაპიტალური ხარჯების მოცულობა 7 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა წყალმომარაგების და წყალარინების პროექტების დაფინანსება. საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილში მიმართული თანხებით შესაძლებელი გახდა მიმდინარე წელს რიკოთის უღელტეხილის უდიდესი ნაწილის დასრულება, ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის დასრულება, კახეთის მიმართულებით ახალი მაგისტრალის ნაწილის დასრულება და სხვა.

ისევე როგორც წინა წლებში, 2025 წლის ბიუჯეტიც ამ ეტაპზე დაგეგმილია კონსერვატიული მიდგომით და გათვალისწინებულია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,5%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5,3%-ს შეადგენს;
- მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 3%-ს შეადგენს და იგივე მაჩვენებელი შენარჩუნებულია მომდევნო წლებშიც;
- საშუალო ინფლაციის პროგნოზი მიმდინარე წელს მიზნობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია და 1,5%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია (3%);
- ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 97,4 მლრდ ლარის ოდენობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 9 600 დოლარს აჭარბებს. 2028 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 123,0 მლრდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 12 000 დოლარს გადააჭარბებს;
- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრება 24,4 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 25,1%-ია;
- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ს 2,5%-ს, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 36,8%-ის ფარგლებშია.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ფარგლებში 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შეადგენს 31,2 მლრდ ლარს, რომლის ფარგლებშიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არის 2025 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, მომდევნო 3 თვის განმავლობაში ერთის მხრივ განხორციელდება მაკროეკონომიკური დინამიკის ანალიზი, აქტიური კონსულტაციები გაიმართება ახალარჩეულ პარლამენტთან და შესაბამისად მოხდება ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ფორმირება.

2025 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს:

- **სოციალური მიმართულებით**
  ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 870,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია:
  - 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 35 ლარით და განისაზღვრება 450 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 540 ლარს გაუტოლდება;
  - 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 335 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 400 ლარს გადააჭარბებს;
  - გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 35 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით;
  - ჯამში სოციალური პროგრამების დაფინანსება შეადგენს 6,3 მილიარდ ლარს;
  - ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 1,9 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - დევნილთა სახლებით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 240,0 მლნ ლარი.

- **განათლების მიმართულებით**
  განათლების და მეცნიერების მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია 370,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებშიც:
  - საჯარო სკოლების დაფინანსებაზე მიიმართება დამატებით 200,0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მიმდინარე წლის ივლისიდან გაზრდილი ხელფასების სრულად დაფინანსება;
  - გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის და მანდატურის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 560,0 მლნ ლარზე მეტი;
  - საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 180,0 მლნ ლარზე მეტი;

  გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა.

- **კულტურისა და სპორტის** დაფინანსებაზე ნაერთი ბიუჯეტიდან მიიმართება 920,0 მლნ ლარზე მეტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 515,0 მლნ ლარი;

- **თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით:**
  - თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურების დაფინანსება იზრდება 330,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - თავდაცვის ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 410,0 მლნ ლარი;

- **ინფრასტრუქტურა**

  ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 7,0 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართება 1,5 მილიარდ ლარამდე, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1,0 მილიარდ ლარამდე;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია 2,1 მილიარდ ლარზე მეტი;
- წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გაუმჯობესებაზე მიიმართება 670,0 მლნ ლარზე მეტი;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე მიიმართება 930,0 მლნ ლარამდე;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გათვალისწინებულია 150,0 მლნ ლარზე მეტი;

- **მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის** მიზნით 2025 წელს გათვალისწინებულია 280,0 მლნ ლარზე მეტი.

- **სოფლის მეურნეობის** პროგრამების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 630,0 მლნ ლარზე მეტი;

- **გარემოს დაცვის** პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილია 240,0 მლნ ლარამდე;

- **საჯარო მოხელეთა ანაზღაურება**
  2022 წელს საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2025 წელს გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა;

ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

2025 წლის განახლებული პროგნოზით ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 24 400,0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის განახლებულ პროგნოზთან შედარებით 1 500,0 მლნ ლარით მეტია;

მშპ-სთან მიმართებაში 2025 წელს საგადასახადო შემოსავლები 25,1%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებლია მშპ-ს 25%-ის ფარგლებში.

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 800,0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 7 175,5 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 624,5 მლნ ლარს. მშპ-სთან მიმართებაში საშემოსავლო გადასახადი შენარჩუნებულია 2024 წლის დონეზე და 8,0%-ს შეადგენს;

- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 900,0 მლნ ლარით. მისი მოცულობა მშპ-სთნ მიმართებაში მცირედით შემცირებულია და 3,0%-ს შეადგენს. შემცირება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ 2022 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, კომერციული ბანკების მიერ 2024 წელს ერთდროულად აისახა 2023 წლის გაზრდილი მოგების გადასახადი და 2024 წელს გადასახდელი საავანსო გადახდები, რაც ერთჯერადი ფაქტორი იყო და მისი შემოსვლა აღარ არის პროგნოზირებული 2025 წლის განმავლობაში;

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 950,0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 8 059,5 მლნ ლარს, ხოლო

მუნიციპალიტეტების წილი - 1 890,5 მლნ ლარს. მშპ-სთან მიმართებაში დღგ-ს წილი შენარჩუნებულია 2024 წლის დონეზე და შეადგენს 10,2%-ს;

- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 520,0 მლნ ლარის ოდენობით. მშპ-სთან მიმართებაში აქციზის მოცულობა ოდნავ შემცირებულია 2024 წელთან შედარებით და შეადგენს 2,6%-ს. შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აქციზში უმეტესი ნაწილი დადგენილია ნომინალურ გამოხატულებაში და მასზე ეკონომიკის ნომინალური ზრდა მთლიანად არ აისახება, ძირითადად აისახება ეკონომიკის რეალური ზრდის ტენდენციები;

- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 150,0 მლნ ლარით;

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 700,0 მლნ ლარს;

- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 380,0 მლნ ლარით.

ნაერთი ბიუჯეტის პრივატიზაციის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 350,0 მლნ ლარს.

საბიუჯეტო დეფიციტი და მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2025 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, განისაზღვრება 2 440,3 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);

- 2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 36.8%-ია, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (წინასწარი მონაცემები)) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.03%-ია, რაც მთავრობის ვალის პროცენტულ ჯამურ მაჩვენებელზე არ ახდენს გავლენას (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობა 2 410,0 მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** ჯამური მაჩვენებელი წინა წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 2 281,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 26 850,5 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის:

- **შემოსავლები - 22 735,3 მლნ ლარი** (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 2 004,3 მლნ ლარით);
    - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 21 185,0 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 2 070,0 მლნ ლარით;
    - **სხვა შემოსავლების** პროგნოზი 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით უცვლელია და განისაზღვრება 1 350,0 მლნ ლარის ოდენობით;
    - **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებელი განისაზღვრება 200,3 მლნ ლარის ოდენობით;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 200.0 მლნ ლარს;
- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრა 330.0 მლნ ლარის ოდენობით;
- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრა 3 585,2 მლნ ლარის ოდენობით მათ შორის:
    - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრები შეადგენს 1 600.0 მლნ ლარს.
    - საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 1 385,2 მლნ ლარს;
    - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 600,0 მლნ ლარს.

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 1 396,7 მლნ ლარის ოდენობით, შესაბამისად ვალდებულებების წმინდა ზრდა 2 188,4 მლნ ლარს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობა შეადგენს 27 046,5 მლნ ლარს (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2 016,1 მლნ ლარით).

სამინისტროების მიხედვით გათვალისწინებულია:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 8 700,0 მლნ ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 870.9 მლნ ლარით. ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ **მოსახლეობის სოციალური დაცვა** - 6 261.4 მლნ ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 625.9 მლნ ლარით. მათ შორის:

- საპენსიო უზრუნველყოფა - 4 420 მლნ ლარი (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 490.0 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია, მათ შორის, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით პენსიის გადაანგარიშებით.

  აღნიშნული კანონის მიხედვით **70 წლამდე პირთა პენსია** უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სექტემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაცია შეადგენს 0.9%-ს. აღნიშნული მაჩვენებლით პენსიის ზრდა 20 ლარზე ნაკლებია (315*0.9%=2.8), რისი გათვალისწინებითაც კანონის შესაბამისად განსაზღვრულია პენსიის ზრდა 20 ლარის ოდენობით და 2025 წლის იანვრიდან განისაზღვრება 335 ლარით.
  ამავე კანონის მიხედვით, **70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის** პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის და ბოლო 6 კვარტლის მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით. გასული წლის 4 კვარტალში და მიმდინარე წლის 2 კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მონაცემებია:
  - ✓ 2023წ. I კვარტალი - 8.2%;
  - ✓ 2023წ. II კვარტალი - 8.1%;
  - ✓ 2023წ. III კვარტალი - 7.0%;
  - ✓ 2023წ. IVკვარტალი - 6.9%
  - ✓ 2024წ. I კვარტალი - 8.4%
  - ✓ 2024წ. II კვარტალი - 9.6%;

  აღნიშნული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული შეადგენს 8.0%-ს, ხოლო მისი 80% - 6.4%-ს. შესაბამისად პენსიის მოცულობა უნდა გაიზარდოს 0.9%+6.4%=7.3%-ით. აღნიშნული ფორმულით პენსიის ზრდა შეადგენს 30.3 ლარს (415*7.3%=30.3). კანონის შესაბამისად ხორციელდება აღნიშნული თანხის დამრგვალება და პენსიის ზრდა განსაზღვრულია 35 ლარით, რისი გათვალისწინებითაც მისი მოცულობა 2025 წლის იანვრიდან განისაზღვრება 450 ლარის ოდენობით.

  მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული 20 პროცენტიანი დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 402 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსია 540 ლარი.

  პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებ პირთა კომპენსაციები, რომელთა კომპენსაციის დაანგარიშება დაკავშირებულია სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე (და არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ 1000 ლარიან ზედა ზღვარს).

- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - 1 632,3 მლნ ლარი (გაზრდილია 113,3 მლნ ლარით);
  აღნიშნული თანხის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 35 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით. ასევე გათვალისწინებულია 120 ათას

სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების 16 წლამდე ბავშვების ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარების დაფინანსება;

- სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - 112,0 მლნ ლარი. პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება საპენსიო დანამატის მოცულობაც;

- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება იზრდება 12,2 მლნ ლარით და შეადგენს 88,5 მლნ ლარს;

✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა** - 1 855,8 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 1 220,0 მლნ ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 185,0 მლნ ლარით იზრდება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების ზრდა;

✓ **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა** - 80,0 მლნ ლარი;

✓ **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა** - 120,8 მლნ ლარი, მათ შორის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 103,3 მლნ ლარი;

✓ **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა** - 268,0 მლნ ლარი.

განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 2 885,0 მლნ ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ასიგნებას აღემატება 377,0 მლნ ლარით. მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 1 808,3 მლნ ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ ასიგნებასთან შედარებით გაზრდილია 233,3 მლნ ლარით. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისიდან, საჯარო სკოლების მასწავლებელთა გაზრდილი ანაზღაურების სრული წლით დაფინანსება.
ამავე პროგრამის ფარგლებში 70,0 მლნ ლარია გათვალისწინებულია საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვისათვის. ასევე გათვალისწინებულია მანდატურებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკურიპერსონალის ხელფასების ზრდა;
✓ პროფესიული განათლება - 144,0 მლნ ლარი;
✓ უმაღლესი განათლება - 171,3 მლნ ლარი;
✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 86,1 მლნ ლარი;
✓ ინკლუზიური განათლება - 79,5 მლნ ლარი;
✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 490,0 მლნ ლარი. მათ შორის:
  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 395,0 მლნ ლარზე მეტი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ასიგნებებთან ერთად გამოყოფილია 561,0 მლნ ლარზე მეტი);
  - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 66,0 მლნ ლარი (მათ შორის, გათვალისწინებულია „პროფესიული განათლება I (KFW) პროგრამის და თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) ფარგლებში განსაზღვრული სახსრები);
  - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 15,0 მლნ ლარი.

- ✓ ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილია 13,3 მლნ ლარი;

კულტურისა და სპორტისა სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 515,0 მლნ ლარით (იზრდება 43,0 მლნ ლარით), მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება -21,8 მლნ ლარი;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 50.0 მლნ ლარი;
- ✓ სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა - 9,0 მლნ ლარი;
- ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 103,1 მლნ ლარი;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა - 56,7 მლნ ლარამდე;
- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - 218,9 მლნ ლარი;
- ✓ კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები - 43,9 მლნ ლარი;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 200,0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 2 326,0 მლნ ლარი, გრანტებში 18,5 მლნ ლარი, ხოლო კრედიტების ნაწილში 855,5 მლნ ლარი. ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები** - 1 652,6 მლნ ლარი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე გათვალისწინებულია 970,0 მლნ ლარი;

- ✓ **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** - 213,8 მლნ ლარი;

- ✓ **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია** - 747,7 მლნ ლარი;

- ✓ **მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა** - 79,5 მლნ ლარი;

- ✓ **საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია** -346,0 მლნ ლარი;

- ✓ **ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები** - 150,0 მლნ ლარი;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 745.0 მლნ ლარს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა - 64.1 მლნ ლარი;
- ✓ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება - 56,2 მლნ ლარი.
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - 328,9 მლნ ლარი. მათ შორის:
  - შეღავათიანი აგროკრედიტები - 190.0 მლნ ლარი;
  - აგროდაზღვევა - 13.0 მლნ ლარი;
  - დანერგე მომავალი -26.0 მლნ ლარი;
  - გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - 13,0 მლნ ლარი;
  - აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა - 18,1 მლნ ლარამდე;
  - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი - 10,0 მლნ ლარი;
  - თხილის წარმოების ხელშეწყობა - 23,0 მლნ ლარი;
  - სათბურების ხელშეწყობის პროექტი - 8,0 მლნ ლარი;

- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - 136,7 მლნ ლარი;
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობა - 30.0 მლნ ლარი;
- ✓ დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 27,0 მლნ ლარი;
- ✓ სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 24,8 მლნ ლარამდე;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი - 21,8 მლნ ლარი;
- ✓ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა - 7,0 მლნ ლარამდე;
- ✓ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა - 6,2 მლნ ლარი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 1 მილიარდი ლარი, რაც 199,0 მლნ ლარით აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ მეწარმეობის განვითარება - 287,3 მლნ ლარი;
- ✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 45,7 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 86,6 მლნ ლარი;
- ✓ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 149,0 მლნ ლარი, მათ შორის 25,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის საჭირო გეოლოგიური კვლევებისთვის;
- ✓ გაზიფიცირების სამუშაოებისთვის გამოყოფილია 50,0 მლნ ლარი;
- ✓ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობისთვის გამოყოფილია 70,0 მლნ ლარი, ხოლო 20 მლნ ლარი გათვალისწინებულია თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობისათვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად;
- ✓ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისთვის საჭირო წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის გამოყოფილია 150,0 მლნ ლარი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 121,0 მლნ ლარს;

იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 427,0 მლნ ლარი;

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 200,0 მლნ ლარი;

თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 600,0 მლნ ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმას 220,0 მლნ ლარით აღემატება. გამოყოფილი თანხის ფარგლებში თავდაცვის ინფრასტრუქტურისა და მისი შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 410,0 მლნ ლარი; გამოყოფილი თანხის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ჯარისკაცების ხელფასის 10%-იანი ზრდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 350,0 მლნ ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმას 90,0 მლნ ლარით აღემატება და აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასების 10%-იანი ზრდა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 226,0 მლნ ლარი;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 108,0 მლნ ლარი;

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 5,1 მლნ ლარს.

საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 68,0 მლნ ლარი;

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გათვალისწინებულია 19,0 მლნ ლარი;

სასამართლო სისტემისთვის გათვალისწინებულია ჯამში 174,7 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საკონსტიტუციო სასამართლო - 6,8 მლნ ლარი;
- ✓ უზენაესი სასამართლო - 18,8 მლნ ლარი;
- ✓ საერთო სასამართლოები - 138,5 მლნ ლარი;
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭო 10,6 მლნ ლარი;

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 13,7 მლნ ლარი;

სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 10,3 მლნ ლარი;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 8,5 მლნ ლარი;

საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენს 104,0 მლნ ლარს;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 23,3 მლნ ლარი;

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება შეადგენს 125,3 მლნ ლარს;

მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება შეადგენს 29,0 მლნ ლარს;

პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია 10,0 მლნ ლარი;

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსება ჯამში შეადგენს 11,6 მლნ ლარს;

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით დარეგულირდა ყოველწლიურად კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი. კერძოდ, კანონის შესაბამისად 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე საბიუჯეტო წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება, როგორც საქართველოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო, გაზრდილი არანაკლებ ბოლო 4 კვარტალში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში „დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საკუთრების ფორმების მიხედვით“ არასახელმწიფო სექტორში დაფიქსირებული ნომინალური ხელფასის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებლის ნახევრით.

სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად, ბოლო 4 კვარტალში არასახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასის ზრდა შეადგენს 13,7%-ს, რისი გათვალისწინებითაც კანონით განსაზღვრული ზრდის მინიმალური ოდენობა შეადგენს 6,8%-ს.

ამავდროულად კანონით განსაზღვრულია, რომ 2026 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი არ უნდა იყოს არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის 80%-ზე ნაკლები. აღნიშნული თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელი ბოლო 4 კვარტალში შეადგენს 72,9%-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის პროექტით საბაზო თანამდებობრივი სარგო 2024 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 460 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით.

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების მოცულობა

/ათასი ლარი/

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77 924.2	86 636.0	103 956.1
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9 000.8	9 600.0	10 000.0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	732.3	850.0	950.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	73 280.0	27 000.0	29 000.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	20 906.9	23 290.7	23 292.0
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	91 525.3	171 219.0	125 348.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5 211.5	6 200.0	6 800.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	15 639.2	17 400.0	18 800.0
09 00	საერთო სასამართლოები	100 762.2	137 500.0	138 500.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	5 775.8	10 560.0	10 600.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1 206.0	1 380.0	1 450.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1 022.0	1 120.0	1 220.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1 276.1	1 400.0	1 450.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1 119.7	1 190.0	1 250.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	920.9	1 120.0	1 180.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1 017.5	1 160.0	1 235.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	970.6	1 080.0	1 120.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1 323.4	1 450.0	1 550.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1 025.4	1 100.0	1 150.0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	179 846.0	210 000.0	226 000.0

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
21 00	საქართველოს პროკურატურა	55 514.6	63 200.0	68 000.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3 942.0	4 000.0	4 300.0
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	100 326.0	114 000.0	121 000.0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	593 382.9	801 000.0	1 000 000.0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3 438 031.0	3 400 700.0	3 200 000.0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	392 739.4	414 685.0	427 000.0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	7 117 759.8	7 829 150.0	8 700 000.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	188 706.6	187 500.0	200 000.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1 274 214.8	1 380 000.0	1 600 000.0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1 149 607.8	1 260 000.0	1 350 000.0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	725 558.2	688 000.0	745 000.0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2 086 195.8	2 508 044.0	2 885 000.0
33 00	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	464 405.0	471 956.0	515 000.0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	18 000.0	21 000.0	24 000.0
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	2 409.8	1 900.0	2 200.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	10 568.4	12 500.0	13 700.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	14 784.5	19 000.0	19 500.0
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	3 218.9	4 000.0	4 500.0
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	5 214.6	8 000.0	8 500.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	89 241.1	102 000.0	108 000.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	11 525.2	11 500.0	10 300.0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	101 225.8	101 190.0	101 190.0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	3 929.3	5 500.0	6 500.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2 818.0	3 300.0	3 600.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	24 994.6	25 000.0	25 000.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	12 991.9	15 000.0	16 000.0
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	19 904.4	24 000.0	26 000.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4 680.1	5 260.0	5 600.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2 017.5	2 180.0	2 300.0

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	6 421.4	6 500.0	7 600.0
51 00	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	16 567.6	18 000.0	19 000.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	998.2	1 100.0	1 150.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	310.2	600.0	700.0
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	3 524.8	4 800.0	5 100.0
55 00	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	0.0	8 500.0	11 500.0

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 5 104,5 მლნ ლარს, მათ შორის:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 2 185.0 მლნ ლარი;
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა -940,0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი - 90.0 მლნ ლარი;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 600.0 მლნ ლარი;
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება - 480.0 მლნ ლარი;
- ✓ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა - 30.0 მლნ ლარი;
- ✓ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელებისთვის გათვალისწინებულია 160,0 მლნ ლარი.
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები - 565.0 მლნ ლარი, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებულია 500,0 მლნ ლარი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის - 20,0 მლნ ლარი, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერების - 45,0 მლნ ლარი;

მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 1 890,5 მლნ ლარის (ჯამური დღგ-ის 19%) ოდენობით და ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია ცვლილებები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კანონით განსაზღვრული დღგ-ს ზრდის შეზღუდვა აღარ გავრცელდება იმ მუნიციპალიტეტებზე, რომელთა დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი 15,0 მლნ ლარზე ნაკლებია. ასევე, იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებისთვისაც ძალაში რჩება ზემოაღნიშნული შეზღუდვა, დღგ-ს მოცულობა განესაზღვრებათ არანაკლებ 15,0 მლნ ლარამდე.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) პროგნოზის განაწილების შედეგად მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები შემოსავლების განაწილება:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება - 2025 წელი	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	31.76%	600 656.0
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	3.59%	67 911.9

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება - 2025 წელი	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1.80%	33 974.2
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1.28%	24 109.2
ქედის მუნიციპალიტეტი	0.94%	17 679.5
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
ხულოს მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
ახმეტის მუნიციპალიტეტი	1.09%	20 649.6
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1.36%	25 631.4
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0.69%	13 089.3
თელავის მუნიციპალიტეტი	1.42%	26 801.9
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1.04%	19 615.1
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1.41%	26 735.4
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0.75%	14 171.3
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3.48%	65 778.1
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	1.16%	21 990.0
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0.52%	9 863.0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1.34%	25 317.4
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0.56%	10 565.2
ვანის მუნიციპალიტეტი	0.58%	10 871.6
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1.34%	25 321.0
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0.81%	15 274.7
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	1.11%	20 930.7
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1.20%	22 696.0
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0.54%	10 232.2
ხონის მუნიციპალიტეტი	0.56%	10 551.7
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2.42%	45 712.0
აბაშის მუნიციპალიტეტი	0.51%	9 704.8
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0.81%	15 230.5
მესტიის მუნიციპალიტეტი	0.79%	14 970.1
სენაკის მუნიციპალიტეტი	0.92%	17 363.1
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0.55%	10 375.5
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0.63%	11 966.6
ხობის მუნიციპალიტეტი	0.74%	13 918.9
გორის მუნიციპალიტეტი	3.43%	64 867.8
კასპის მუნიციპალიტეტი	1.11%	21 040.7
ქარელის მუნიციპალიტეტი	1.06%	19 973.8
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1.33%	25 061.6
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2.98%	56 300.0
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
დმანისის მუნიციპალიტეტი	1.02%	19 265.2
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	0.80%	15 140.9
მარნეულის მუნიციპალიტეტი	2.41%	45 493.1
წალკის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება - 2025 წელი	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0.74%	13 942.0
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1.45%	27 472.5
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0.53%	10 040.4
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0.78%	14 792.4
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0.61%	11 470.2
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1.34%	25 415.2
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0.79%	15 000.0
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0.99%	18 630.5
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0.56%	10 520.9
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0.85%	16 030.9
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0.35%	6 578.2
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0.65%	12 330.7
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0.38%	7 153.0
ონის მუნიციპალიტეტი	0.45%	8 443.0
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0.58%	10 879.2
სულ ჯამი	**100.00%**	**1 890 500.0**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 3,825,8 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა - 1 669,6 მლნ ლარი;*
- *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2 289,2 მლნ ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 3 670,6 მლნ ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 190,7 მლნ ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 580,7 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 998,4 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 567,3 მლნ ლარი;*
- *განათლება - 3 288,4 მლნ ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 7 117,9 მლნ ლარი;*

ამ ეტაპზე წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსია. კანონპროექტის განხილვა გაგრძელდება საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, რომლის შემდგომაც მთავრობა დეტალურად განიხილავს საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებს და წინადადებებს, გაანალიზდება 9 თვის ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების შესრულების მაჩვენებლები და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარედგინება კანონპროექტის განახლებული ვერსია.

გარდა თანმდევი კანონპროექტისა, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს:

- საქართველოს მთავრობის მოხსენება 2024 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

- 2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი;
- 2025-2028 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (საბაზო, ოპტიმისტური, და პესიმისტური სცენარები);
- მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი;
- პროგრამებული ბიუჯეტის დანართი;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- ცენტრალური ბიუჯეტის დანართი;
- ფისკალური რისკების ანალიზი;
- ვალის მდგრადობის ანალიზი;
- მთავრობის ვალის შესახებ ინფორმაცია;
- საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში;
- საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამას და „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია”-ს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2025 წლის 1 იანვრიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი აერთიანებს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და მხარჯავი დაწესებულებების (მათ შორის, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების) მიერ დაგეგმილი პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს და განსაზღვრავს მათი დაფინანსების მოცულობებს, შესაბამისად, წარმოდგენილი კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენის შეფასებას. თითოეული მიმართულებით დაგეგმილი პოლიტიკის გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენა ფასდება ინდივიდუალურად.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შესაბამისობაშია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა